სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

49668840283223

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N23429371

რეგისტრაციის თარიღი

12.10.2023 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ედიბერიძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა მტკვარი №4, ბინა 20
ტელეფონი: 244 40 40

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდასამი წლის თორმეტ ოქტომბერს, მე ეკატერინე ედიბერიძემ, საქართველოს ნოტარიუსმა, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქუჩა მტკვარი №4, ბ 20 კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით დავამოწმე წინამდებარე მინდობილობა. მე დავადგინე მიმნდობი პირის - კონსტანტინე გაბაშვილის (ამჟამად, მისივე განცხადებით იმყოფება რუსეთის ფედერაციაში) პიროვნება, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზიდან, მისი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მონაცემების გამოყენებით რომ ნამდვილად - კონსტანტინე გაბაშვილს (დაბ. 01.01.1970წ, მის. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 80 ბლოკი III ბ. 12, პ/ნ 65002002036, პ/მ 13IF32866, გაც: 18.07.2014წ) სურს მინდობილობის შედგენა და დამოწმება. მან განაცხადა, რომ არის შპს „ვიქტო''-ს (ს/კ 405073370) დირექტორი. უფლებამოსილება დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის ნომერი B23066765, მომზადების თარიღი: 15.05.2023წ. მე აგრეთვე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. კონსტანტინე გაბაშვილის განცხადებით წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს გოჩა თათარაშვილი (დაბ: 18.12.1975წ, მის: თბილისი II ნავთლუღის დას. 360 კმ N 2, პ/ნ 01033003870, პ/მ 17ID03498, გაც: 20.02.2018წ). გარდა ამისა, სანოტარო მოქმედებაში, მოწმის სახით მონაწილეობს მიხეილ აბესაძე (დაბ: 06.07.1978წ, მის: საქართველო, ქალაქი თბილისი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, კორპუსი 15ა, ბინა 16; პ/მ 13IK39695; პ/ნ 01026002071, გაც: 10.05.2015წ). (მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით, ასევე დავრწმუნდი მათ ქმედუნარიანობაში). სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მხარემ და მოწმემ დაადასტურეს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობის შესახებ. მინდობილობის გამცემის და ჩემი, ნოტარიუსის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტის საშუალებით, კონსტანტინე გაბაშვილს განვუმარტე მინდობილობის შინაარსი, მან მოიწონა იგი და განაცხადა, რომ იგი გამოხატავს მის ნებას და სურვილს.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, კონსტანტინე გაბაშვილმა (დაბ. 01.01.1970წ, მის. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 80 ბლოკი III ბ. 12, პ/ნ 65002002036, პ/მ 13IF32866, გაც: 18.07.2014წ), როგორც შპს „ვიქტო''-ს (ს/კ 405073370) დირექტორმა, ამ მინდობილობით ლაშა გუგეშაშვილს (დაბ. 22.08.1975წ, პ/ნ 01027000111), მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ლაშა გუგეშაშვილი უფლებამოსილია იყოს შპს „ვიქტო''-ს (ს/კ 405073370) წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ სამინისტროში და მის უწყებებში, იუსტიციის სახლში და მის უწყებებში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, შსს მომსახურების სააგანტოში, ნებისმიერ არქივში, სანოტარო ბიუროში, საგადასახადო სამსახურებში, შემოსავლების სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანეობში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, ზედამხედველობის სამსახურში, ლეგალიზაციის კომისიაში, აღიარების კომისიაში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, სატელეკომუნიკაციო სამსახურებში, სს თელასში, სს თელმიკოში, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში, დასუფთავების სამსახურში, თბილისი ენერჯიში, სოკარ გაზში და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში.

გააქირაოს, გასცეს იჯარით საზოგადოების ნებისმიერი უძრავი ქონება, სადაც არ უნდა მდებარეობდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, მოაწეროს ხელი ქირავნობის ან/და იჯარის ხელშეკრულებებს, მათ ცვლილებებს, გაუქმებებს, ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა განსაზღვროს თავად, მოახდინოს რეგისტრაცია მარეგისტრირებელ ორგანოში, მიიღოს ამონაწერები, გამოასწოროს ნებისიერ ხარვეზი. საზოგადოების ნებისმიერ უძრავ ნივთში შეიყვანოს კომუნიკაციები, მოახდინოს გამრიცხველიანება, კომუნალური მომსახურებები გააფორმოს შპს-ს სახელზე.

ლაშა გუგეშაშვილი აგრეთვე უფლებამოსილია იყოს წარმომადგენელი შპს „ვიქტო"-ს (ს/კ 405073370) კუთვნილი უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, #82-ს მიმდებარედ, ბაგები, ბაგების მიმდებარედ ს/კ 01.14.10.001.100)-ის საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მერიაში და მის სამსახურებში, სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტში, მათ შორის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ტექ. ბიუროს არქივში, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, მიიღოს ნებართვა, აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, პროექტების შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, აწარმოოს მოლაპარაკებები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ამასთან დაკავშირებით შეაგროვოს ყველა სახის დოკუმენტაციები. მიიღოს წარადგინოს ისინი მიმნდობი პირის სახელით შეიტანოს განცხადებები, მიიღოს ინფორმაცია, მიიღოს გადაწყვეტილება, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, განახორციელოს კორექტირება, ხელი მოაწეროს დოკუმენტებს, მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტები/ცნობები/გადაწყვეტილებები/პროექტები/შეთანხმებები/ნებართვები, გადაავადოს ნებართვები, მოახდინოს რეგისტრაცია ნებისმიერ პორტალზე და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ დავალებებთან.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2024 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით მესამე პირებზე გადანდობის უფლებით.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო ბიუროში, თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 32-ე მუხლის შესაბამისად 90.00 (ოთხმოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ 16.20 ლარი. სულ გადახდილია 111.20 ლარი.

ხელმომწერი პირი გოჩა თათარაშვილი. გოჩა თათარაშვილი
კონსტანტინე გაბაშვილის ნაცვლად

მოწმე მიხეილ აბესაძე მიხეილ აბესაძე

ნოტარისი: ეკატერინე ედიბერიძე



აკინძულია
ფურცლად
ნოტარიუსი
ეკატერინე ედიბერიძე

GEORGIA. NOTARY EKATERINE EDIBERIDZE * 01007001593 *